სსიპ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

ბრძანება № 03-803

ქ. თბილისი

12.06.2015

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში 2015-2016 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრიდან ერთიანი ეროვნული გამოცდების გავლის გარეშე საბაკალავრო საფეხურზე სწავლის უფლების მქონე ნუგზარ ბარბაქაძის ჩარიცხვის შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, 52-ე მუხლის მე-3 პუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 11 სექტემბრის №134/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის" წესდების მე-18 მუხლის პირველი და მეექვსე პუნქტების, „უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში ერთიანი ეროვნული გამოცდების/საერთო სამაგისტრო გამოცდების გავლის გარეშე სწავლის უფლების მქონე აბიტურიენტების/მაგისტრანტობის კანდიდატების/სტუდენტების მიერ დოკუმენტების წარდგენისა და განხილვის წესის დამტკიცების შესახებ" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 29 დეკემბრის №224/ნ ბრძანების საფუძველზე, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2014 წლის 9 ოქტომბრის №1113 ბრძანების, ნუგზარ ბარბაქაძის 2015 წლის 9 ივნისის №03-16391/15 განცხადებისა და ბიზნესის სკოლის დეკანის მიხეილ ბატიაშვილის 2015 წლის 10 მაისის №03-16494/15 სამსახურებრივი ბარათის გათვალისწინებით,

ვბრძანებ

1. ნუგზარ ბარბაქაძე (საქართველოს მოქალაქე, პირადი №56001023931), ჩაირიცხოს ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიზნესის სკოლის სწავლების საბაკალავრო საფეხურის აკადემიურ პროგრამაზე - ბიზნესის ადმინისტრირება (საბანკო და საფინანსო საქმე, მენეჯმენტი, ტურიზმი) და სწავლას შეუდგეს 2015-2016 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრიდან.

2. ეს ბრძანება ბათილია მისი გამოცემის მომენტიდან, თუ არ დასტურდება „უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში ერთიანი ეროვნული გამოცდების/საერთო სამაგისტრო გამოცდების გავლის გარეშე სწავლის უფლების მქონე აბიტურიენტების/მაგისტრანტობის კანდიდატების/სტუდენტების მიერ დოკუმენტების წარდგენისა და განხილვის წესის დამტკიცების შესახებ" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 29 დეკემბრის №224/ნ ბრძანებით დამტკიცებული წესით გათვალისწინებული მოთხოვნების დაკმაყოფილება.

3. დაევალოს ბიზნესის სკოლას, ნუგზარ ბარბაქაძის პირადი საქმის მოწესრიგება.

4. დაევალოს ბიზნესის სკოლას, უცხოეთში მიღებული განათლების შემთხვევაში, ნუგზარ ბარბაქაძისთვის უზრუნველყოს კრედიტების აღიარება, კანონმდებლობით დადგენილი წესით.

5. უნივერსიტეტის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურს დაევალოს, ამ ბრძანებაში მითითებული ინფორმაცია განათავსოს უნივერსიტეტის ვებგვერდზე.

6. დაევალოს ბიზნესის სკოლას, ამ ბრძანებით მიღებული გადაწყვეტილება ასახოს სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონულ სისტემა „არგუსში", განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის ერთიანი სტუდენტური რეესტრის მონაცემთა ბაზასა და შიდასაუნივერსიტეტო რეესტრში.

7. დაევალოს უნივერსიტეტის კანცელარიას, ეს ბრძანება გააცნოს ბიზნესის სკოლას, საფინანსო და აღრიცხვა-ანგარიშის დეპარტამენტებს, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს, საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურს, საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურს, არგუსის კოორდინატორს ცენტრალურ დონეზე ირინა ბაზღაძეს და სტუდენტ ნუგზარ ბარბაქაძეს.

რექტორი გიგა ზედანია